თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 5

ქ.თელავი 12. 04. 2018წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი,ზურაბ ლილუაშვილი, არჩილ თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.
აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ლევან ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის განხილვის შესახებ
მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების განხილვის შესახებ
მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების და ტაბელის პროექტის განხილვის შესახებ.
მომხს. ნ. ხვისტანი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების წესის განხილვის შესახებ
მომხს. ნ. ხვისტანი

5. საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს №24 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე''ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს. ნ. ხვისტანი

<u>მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ წარმოდგენილ პროექტში არ არის განსაზღვრული სარეკლამო ნებართვის ტარიფები რაც უცილებელია და წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

მედეა ჩაფურიშვილმა ასევე აღნიშნა რომ უმჯობესია ნორმატიული აქტის პროექტის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნას „ბ“ პუნქტი, გარდა ამისა მიზანშეწონილია შეიცვალოს ნორმატიული აქტის პროექტის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს არა ნაკლებ ერთი და არაუმეტეს 8 წლისა. კომისიის წევრები დაეთანხმნენ მოსაზრებას.

ნანა ხვისტანმა კომისიის წევრებს შესთავაზა სარეკომენდაციო სახის წერილის მომზადება თელავის მუნიციპალიტეტის მერის მიმართ გამოთქმული ცვლილებების განხორციელების მიზნით.

<u>გადაწყვიტეს:</u> მომზადდეს სარეკომენდაციო სახის წერილი და მითითებული ცვლილებებით ნორმატიული აქტის პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

<u>მოისმინეს:</u>თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ტიტე დარეჯანიშვილმა აღნიშნა რომ კარგია, როდესაც მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი მუშაობს გამართულად, ამდროს კი მნიშვნელოვანია რომ ნორმატიული აქტით განსაზღვრული იყოს ვებ-გვერდის ადმინისტრირების ასპექტები და ძირითადი მიმართულებები.

გადაწყვიტეს: საკრებულოს მიერ ინიცირებული პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების ტაბელისა და თელავის მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების წესის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ მართალია აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით_დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება, მაგრამ ვინაიდან საქმის წარმოების წესებს არეგულირებს კანონი საქმის წარმოების შესახებ, მიზანშეუწონელია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქმის წარმოების შესახებ რაიმე რეგულაციის შემოღება

გადაწყვიტეს: შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოება წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და კომისიის გადაწყვეტილება ეცნობოს ბიუროს გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მოისმინეს: საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა რომ პროექტი მისაღებია წარმოდგენილი სახით.

გადაწყვიტეს: წარედგინოს პროექტი წარმოდგენილი სახით, ბიუროს სხდომას.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს №24 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე"ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სრულად იქნა გაზიარებული თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის რეკომენდაცია და აღნიშნული პროექტი წარმოდგენილ იქნა შესწორებული სახით.

<u>გადაწყვიტეს:</u> წარედგინოს წარმოდენილი პროექტი ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომაზე წარსადგენად.

სხდომის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი